აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
აგრარულ და გარემოს დაცვის
საკითხთა კომიტეტის
ანგარიში
2023 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით

2024 წელი

თავი I

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი ემსახურება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული მმართველობის სისტემის დამკვიდრებას და მოქალაქეთა კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების დაცვას. კომიტეტი ხელმძღვანელობს გამჭვირვალობისა და ღიაობის პრინციპით და უზრუნველყოფს საკუთარ საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობას.

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

ეფექტიანი და კოორდინირებული საქმიანობისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 43[1] მუხლის შესაბამისად, კომიტეტმა შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმა. განსახორციელებელი მიზნები, ამოცანები და აქტივობები დაისახა 2023 წლის დასაწყისში. წინამდებარე ანგარიში დაეყრდნო მონიტორინგს სამოქმედო გეგმის ვალდებულებათა შესრულებაზე და მისი ანალიზის შედეგებს. საანგარიშო პერიოდი გაგრძელდა 2023 წლის 1 იანვრიდან, ამავე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2023 წლის განმავლობაში აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი აქტიურად ახორციელებდა საკანონმდებლო და საზედამხედველო ფუნქციებს. ასევე, თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ზედამხედველობდა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებს, განსაკუთრებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასზე დაქვემდებარებული დაწესებულებების (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს, სსიპ სატყეო სააგენტოს, სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრისა და ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის) საქმიანობას.

კომიტეტი იხილავდა საქართველოს პარლამენტიდან გამოგზავნილ აგრარულ და გარემოსდაცვით სფეროსთან დაკავშირებულ კანონპროექტებს.

კომიტეტის ამოცანები

რეგიონის კანონმდებლობის საქართველოს კანონმდებლობასთან მიახლოება/ჰარმონიზება და შემუშავება შემდეგი მიმართულებებით: სასურსათო უზრუნველყოფა, მიწის რესურსები, აგრარული განათლება და მეცნიერება, აგრო მომსახურებები და ფერმერებთან დაკავშირებული საკითხები; ეფექტიანი ზედამხედველობა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიათა განხორციელებაზე და კონტროლი კანონმდებლობის აღსრულებაზე; სამელიორაციო სისტემების განვითარება; ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემების განვითარების ხელშეწყობა; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი (უსაფრთხო) გარემოს შენარჩუნება და გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან დაცვა; სოფლის მეურნეობის სტაბილური ზრდა, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გარემოსათვის ატმოსფერული ჰაერის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევა, შენარჩუნება და გაუმჯობესება; წყლის მავნე ზემოქმედების აცილება, წყლის ობიექტების დაცვა და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება დღევანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისა და მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით; თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოსა და მისი ცალკეული კომპონენტების, მათ შორის: მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს, ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტის, ტყეში არსებულ მცენარეთა

იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება და დაცვა, კომიტეტის საქმიანობის პრიორიტეტია. ასევე, საზოგადოებასთან/დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და კომიტეტის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ამასთან, დასახული მიზნების მიღწევისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება კომიტეტის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტის მიერ მიღებული და დამტკიცებული 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმით განსაზღვრული საქმიანობა არის შემდეგი მიმართულებებით:

1. კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება;
2. საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება;
3. საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა;
4. ორგანიზაციული საქმიანობის და შესაძლებლობის გაძლიერება.

კომიტეტი წლის განმავლობაში მუდმივად უწევდა მონიტორინგს სამოქმედო გეგმის შესრულებას. 2021 წელს შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგის ეტაპზე გეგმაში წარმოდგენილ თითოეულ აქტიურობას ენიჭება სტატუსი, რომლის საფუძველზე გამოითვლება შესრულების დონის მაჩვენებელი (როგორც მთლიანად გეგმასთან მიმართებით, ასევე, მიზნების ჭრილში).

წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმთა შესაბამისად, სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილ ყველა აქტივობას მიენიჭა შესაბამისი სტატუსი და განისაზღვრა მათი განხორციელების დონე.

სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, განისაზღვრა აქტივობები და მათზე პასუხისმგებელი პირები. წლის გეგმით, განსაზღვრული იყო 44 აქტივობა. აქედან, მეთოდოლოგიის შესაბამისად, სრულად განხორციელდა 26, მეტწილად განხორციელდა 15, ნაწილობრივ განხორციელდა 3 აქტივობა.



69% სრულად განხორციელდა
24% მეტწილად შესრულდა
7% ნაწილობრივ განხორციელდა

თავი II

ზოგადი ინფორმაცია კომიტეტის საქმიანობის შესახებ

კომიტეტის შემადგენლობაშია უმაღლესი საბჭოს 5 წევრი: ფრიდონ ფუტკარაძე - კომიტეტის თავმჯდომარე, მამული სურმანიძე - თავმჯდომარის მოადგილე და კომიტეტის წევრები: ტიტე აროშიძე, მარინე გვიანიძე და ნადიმ ვარშანიძე.

კომიტეტის აპარატში არის 1 თანაშემწე და 4 სპეციალისტი (1 ქალი, 4 მამაკაცი).

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტმა საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 9 სხდომა (4 გაერთიანებული სხდომა).

მათ შორის:

კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა 13 საკითხი:

- საქართველოს პარლამენტიდან შემოსული კანონპროექტი - 1;
- კანონპროექტი და დადგენილება - 3;
- სხვადასხვა უწყებისა და დაწესებულების ხელმძღვანელთა ანგარიში და ინფორმაცია -7;
- კომიტეტის სამოქმედო გეგმა - 1;
- კომიტეტის ანგარიში -1.

აქედან:

კომიტეტის სხდომებზე განხილული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტთან დაკავშირებით 7 საკითხი.

- საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვადასხვა საკითხებზე შეიმუშავა და წარადგინა 7 სავალდებულო დასკვნა;
- კომიტეტის თავმჯდომარემ ფრიდონ ფუტკარაძემ მონაწილეობა მიიღო 16 შეხვედრა-ღონისძიებაში;
- კომიტეტის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს 11 შეხვედრა-ღონისძიებაში;
- კომიტეტის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 4 შეხვედრა, ტრენინგი, კონფერენციასა და სემინარში.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში განსახილველად შემოვიდა:

1. საქართველოს პარლამენტის აპარატიდან შემოსული კანონპროექტი -1;
2. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციულ და სხვა ორგანიზაციებიდან შემოსული კორესპონდენცია - 29;
3. უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომიტეტებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენცია - 85;
4. კომიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და მასზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა -37;
5. მოქალაქეთა მიღების რაოდენობა - 107.

კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა სავალდებულო დასკვნები შემდეგ კანონის პროექტებზე და ბიუჯეტების შესრულების ანგარიშებზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მიმოხილვა;

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტებზე.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (№09-01-08/57, 21.11.2023წ.).

თავი III

კომიტეტის საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელება

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, დარგობრივად კი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან. სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის თაობაზე ანგარიშის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო:

კომიტეტის სხდომები, რომელებზეც მოსმენილი იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის **ზაზა შავაძის** 2022 წლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. **ჯემალ ნაკაშიძის** - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის, **რაულ თავართქილაძის** - სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“-ს დირექტორის, **ჯუმბერ აბულაძის** - სსიპ სატყეო სააგენტოს უფროსის და **ლევან გორგილაძის** - სსიპ ლაბორატორიული კვლევის ცენტრის დირექტორის ინფორმაციები, შესაბამისი უწყებების მიერ 2022 წელს გაწეული და 2023 წელს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ანგარიშები.

თავი IV

სადეპუტატო შეკითხვები

კომიტეტი საზედამხედველო და საკონტროლო უფლებამოსილებათა განხორციელების პროცესში მჭიდროდ თანამშრომლობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და საზოგადოებასთან. ამ თვალსაზრისით გაგზავნილი იყო ექვსი სადეპუტატო შეკითხვა, რომლებიც საანგარიშო პერიოდში გაეგზავნა სახელმწიფო სტრუქტურებს. პასუხები შემოვიდა რეგლამენტით განსაზღვრულ დროში.

თავი V

კომიტეტის წევრების და კომიტეტის აპარატის თანამშრომლების შეხვედრები სამთავრობო სტრუქტურების და საზოგადოების წარმომადგენლებთან

კომიტეტის თავმჯდომარის ფრიდონ ფუტკარაძის შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები-მივლინებები

1. 2023 წლის 20 იანვარს მონაწილობა მიიღო ბათუმში, „საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერსპექტივებთან" დაკავშირებით, გამართულ სამუშაო შეხვედრაში. ღონისძიებაზე ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" პროექტის - „აკვაკულტურა - ახალი შესაძლებლობების სივრცე" პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანი საქართველოში აკვაკულტურის განვითარების სტრუქტურული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

2. 2023 წლის 31 იანვარს ქედისა და ხელვაჩაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართულ შეხვედრას დაესწრო. შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ პროგრამებსა და და ქვეპროგრამებს გაეცნენ.

3. 2023 წლის 3 თებერვალს, ხულოსა და შუახევის ადმინისტრაციულ ერთეულებში თვითმმართველობების წარმომადგენლებთან და ამაგების წევრებთან გამართულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრებზე სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ წარდგენილ, 2023 წლის ბიუჯეტით დაგეგმილ პროგრამებსა და ქვეპროგრამებს გაეცნენ.

4. 2023 წლის 20 მარტს დელეგაციასთან ერთად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბრანდენბურგის ლანდტაგისა და პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის წარმომადგენლებთან ერთად, სამმხრივ კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა.

5. 2023 წლის 8 მაისს დაესწრო სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვას .

6. 2023 წლის 12 მაისს ბათუმში გამართულ, ევროპის სოფლის ტურიზმის გენერალურ ასამბლეასა და სოფლის ტურიზმის საერთაშორისო კონფერენციას დაესწრო.

7. 2023 წლის 2 ივნისს მაჭახელას ხეობაში, „ეთნოსოფლის" ვიზიტორთა პირველი ცენტრის გახსნას დაესწრო.

8. 2023 წლის 5 ივნისს, გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, უმაღლეს საბჭოში შეხვდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს და აჭარაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაში მიიღო მონაწილეობა.

9. 2023 წლის 23 ივნისს უმაღლეს საბჭოში დაესწრო, საქართველოს პარლამენტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის მიერ გამართულ გასვლით სხდომას.

10. 2023 წლის 19 სექტემბერს დელეგაციასთან ერთად, შეხვდა პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ვროცლავის, ტშებნიცასა და ქვემო სილეზიის ხელმძღვანელ პირებს. აღნიშნულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოსა და პოლონეთის რეგიონებს, მუნიციპალიტეტებს შორის

სამომავლო თანამშრომლობის საკითხები და ერთობლივი პროექტების განხორციელების პერსპექტივები.

11. 2023 წლის 5 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში აგრარული ფორუმის გახსნას დაესწრო.

12. 2023 წლის 6 ოქტომბერს ბათუმში, აგროსასურსათო პროდუქციისა და ახალი ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გაერ ოფენა - "AGRO BATUMI 2023"-ის გახსნას დაესწრო.

13. 2023 წლის 20 ოქტომბერს დაესწრო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას, თემაზე „რეკრეაციული პარკების მართვისა და განვითარების შესაძლებლობები"

14. 2023 წლის 26 ოქტომბერს დაბა ჩაქვში, ციტრუსის ლოჯისტიკის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და სუბსიდირების უზრუნველყოფის მიზნით, საკოორდინაციო შტაბის გახსნა-ამოქმედებას დაესწრო.

15. 2023 წლის 20 დეკემბერს ბთუმში აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვას დაესწრო. ანგარიშის განხილვას ესწრებოდნენ ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი - ოთარ შამუგია, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე - თორნიკე რიჟვაძე, საქართველოს პარლამენტის, აჭარის მთავრობის, თვითმმართველობების, სამეწარმეო და ბიზნესწრეების წარმომადგენლები.

16. 2023 წლის 22 დეკემბერს აჭარის უმაღლეს საბჭოში გამართულ საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გასვლით, შემაჯამებელ სხდომას დაესწრო.

კომიტეტის წევრების შეხვედრები და ოფიციალური ვიზიტები

1. 2023 წლის 20 იანვარს ტიტე არაშიძემ მონაწილობა მიიღო ბათუმში, „საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერპექტივებთან" დაკავშირებით, გამართულ სამუშაო შეხვედრაში. ღონისძიებაზე ორგანიზაცია „მწვანე სექტორის" პროექტის - „აკვაკულტურა - ახალი შესაძლებლობების სივრცე" პრეზენტაცია გაიმართა, რომლის მიზანი საქართველოში აკვაკულტურის განვითარების სტრუქტურული სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.

2. 2023 წლის 25 იანვარს კომიტეტის წევრმა მარინე გვიანიძემ საკანონმდებლო საქმიანობის გაცნობის მიზნით, „თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის" ბაზაზე არსებული ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენლებს უმასპინძლა, რომელთაც ექსკურსია ახალი ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ის მეშვეობით ჩანიშნეს.

3. 2023 წლის 20 მარტს ტიტე არაშიძემ და მარინე გვიანიძემ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ბრანდენბურგის ლანდტაგისა და პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის წარმომადგენლებთან ერთად, სამმხრივ კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა.

4. 2023 წლის 8 მაისს კომიტეტის წევრი მარინე გვიანიძე, სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის საჯარო განხილვას დაესწრო.

5. 2023 წლის 5 ივნისს გარემოს დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, კომიტეტის წევრი მარინე გვიანე, უმაღლეს საბჭოში შეხვდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს და გარემოს დაცვით საკითხებზე, აჭარაში განხორციელებულ და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარებაში მიიღო მონაწილეობა.

6. 2023 წლის 25 სექტემბერს მარინე გვიანიძემ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დავით გაბაიძესთან და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრთან ზაზა შავაძესთან ერთად, ზალცბურგის მე-19 ევროპულ სამიტში მიიღო მონაწილეობა, რომელიც ავსტრიის კანცლერის პატრონაჟითა და ევროპის რეგიონთა ინსტიტუტის (IRE) ორგანიზებით მიმდინარეობს.

7. 2023 წლის 28 სექტემბერს ბათუმი მსოფლიო ტურიზმის ოსკარის სახელით ცნობილ - World Travel Awards-ის დაჯილდოებას მასპინძლობს. გალაცერემონიამდე, ერთი დღით ადრე, გაიმართა ტურიზმის საერთაშორისო ფორუმი, რომელსაც აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - მარინე გვიანიძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

8. 2023 წლის 6 ოქტომბერს ტიტე არაშიძე ბათუმში, აგროსასურსათო პროდუქციისა და ახალი ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გამოფენა - "AGRO BATUMI 2023"-ის გახსნას დაესწრო.

9 . 2023 წლის 20 ოქტომბერს მარინე გვიანიძე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას „რეკრეაციული პარკების მართვისა და განვითარების შესაძლებლობები"-ს დაესწრო.

10. 2023 წლის 26 ოქტომბერს ტიტე არაშიძე დაბა ჩაქვში, ციტრუსის ლოჯისტიკის, რეალიზაციის ხელშეწყობისა და სუბსიდირების უზრუნველყოფის მიზნით, საკოორდინაციო შტაბის გახსნას დაესწრო.

11. 2023 წლის 20 დეკემბერს ტიტე არაშიძე და მარინე გვიანიძე, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვას დაესწრნენ.

კომიტეტი, მომავალშიც გააგრძელებს მასზე დაკისრებული უფლებამოსილების განხორციელებისა და საქმიანობის განვითარებაზე ზრუნვას. კომიტეტის პრიორიტეტებად რჩება კანონშემოქმედებითი საქმიანობის გაუმჯობესება; საზედამხედველო ფუნქციების გაძლიერება; საზოგადოებასთან ეფექტიანი ურთიერთობა და ანგარიშვალდებულებების უზრუნველყოფა და ორგანიზაციული საქმიანობის და შესაძლებლობის გაძლიერება. კომიტეტი იზრუნებს სპეციალური ცოდნის მქონე ექსპერტების მოწვევაზეც, რომლებიც იმუშავებენ კომიტეტის აპარატის ერთად და ხელს შეუწყობენ კომიტეტის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერებას.

კომიტეტის თავმჯდომარე
ფრიდონ ფუტკარაძე